




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები აპრილი, 2020



მოკლე შეჯამება

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის მარტში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა -2.7%, ხოლო პირველი კვარტლის საშუალო რეალური ზრდა განისაზღვრა 1.5 პროცენტით
- წლიურმა ინფლაციამ მარტში შეადგინა 6.9%, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.6%
- მარტში ექსპორტი შემცირდა წლიურად 22.1 %-ით
- მარტში იმპორტი შემცირდა წლიურად 13.4 %-ით
- 2020 წლის მარტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა 69.8 %-ით
- Fitch Ratings-მა შეამცა საქართველოს სუვერენული რეიტინგი "BB სტაბილურიდან" "BB უარყოფითამდე"



ეკონომიკური ზრდა

2020 წლის მარტში, წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა -2.7 პროცენტი, ხოლო 2020 წლის პირველი კვარტლის საშუალო რეალური ზრდა 1.5 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2020 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია. კლება დაფიქსირდა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ხელოვნების, გართობის და დასვენების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირების მიწოდების, დამამუშავებელი მრეწველობის, ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორებში.


ფასების დონე

2020 წლის აპრილის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 6.9 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 4.6 პროცენტზე დაფიქსირდა. აქციზის განაკვეთის ცვლილების ეფექტი ასევე ასახული იქნება 2020 წლის ინფლაციაზე. თამბაქოს ფასის ცვლილების ეფექტი 2020 წლის მარტის ინფლაციაში 0.3 პუნქტს შეადგენს.


წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (+16.1%), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (+9.6%). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა დასვენება და გართობის (-4.3%), ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის (-2.2%) კატეგორიებში.

ამავე დროს, 2020 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა 0.9 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლის კატეგორიის ფასის მომატებამ (+4.9%) და სასტუმროები, კაფეები და რესტორნების (-4.9%) ფასების შემცირებამ.


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2020 აპრილი




დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020 აპრილი




საბარემო გაჭრობა


დიაგრამა 4: ექსპორტის წლიური ცვლილება



დიაგრამა 5: იმპორტის წლიური ცვლილება



დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



2020 წლის მარტში ექსპორტის წლიურად შემცირდა 22 პროცენტით და გაუტოლდა 251.9 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 13.4 პროცენტით და გაუტოლდა 654 მლნ აშშ დოლარს, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 6.8%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 403.1 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია საშინაო და საგარეო მოთხოვნის შემცირებით და მსოფლიოსა და რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შეჩერებით COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შედეგად.

ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა. 2020 წლის მარტში ექსპორტის რეალურმა ზრდამ -21.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ -11.6 პროცენტი.

2020 წლის მარტში, საინვესტიციო საქონლის იმპორტი, შუალედური საქონლის იმპორტი და სამომხმარებლო საქონლის იმპორტი შემცირდა 7, 4.2 და 2.2 პროცენტით შესაბამისად.

2020 წლის მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 69.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 27.7 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 28.3 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 15.8 მლნ. აშშ დოლარით (6.3 პროცენტი). უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020 წლის მარტში შეადგინა მსუბუქი ავტომობილების ჯგუფმა, რომლის იმპორტმა 45.4 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 6.9 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ ნავთობი და ნავთობპროდუქტები 44.6 მლნ აშშ დოლარით (იმპორტის 6.8 პროცენტი) და სპილენძის მადნები და კონცენტრატები 35.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5.4 პროცენტი).

2020 წლის მარტში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ ჩინეთი (34.9 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 13.9%), ბულგარეთი (32.5 მლნ. აშშ დოლარი, 12.9%) და აზერბაიჯანი (31.6 მლნ. აშშ დოლარი, 12.5%). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: თურქეთი (133.1 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი იმპორტის 20.3%), რუსეთი (77.1 მლნ. აშშ დოლარი, 11.8%) და ჩინეთი (49.2 მლნ. აშშ დოლარი, 7.5%).


ტურიზმი

2020 წლის მარტში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 196 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის მარტთან შედარებით 67.3 პროცენტით ნაკლებია. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 69.8 პროცენტით შემცირდა და 73.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელებით გამოწვეული საზღვრების ჩაკეტვით და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტით საქართველოს ტერიტორიაზე მარტის მეორე ნახევარში. 2019 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1.4 პროცენტით. აღნიშნული შეფარდებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წელს წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით.

ფულადი გზავნილები


2020 წლის მარტში წმინდა ფულადი გზავნილები 105.5 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 12 პროცენტთან წლიურ შემცირებას. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია გზავნილების წყარო ქვეყნებში ნავთობის ფასების ვარდნას და რუსეთის შემთხვევაში რუბლის მკვეთრ გაუფასურებას და გაძლიერებული სოციალური დისტანციური ზომებით იტალიასა და ისრაელში. ამის ფონზე, გზავნილები შემცირდა რუსეთიდან 39.7 პროცენტით (-9.7 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), ისრაელიდან 10.3 პროცენტით (-1.1 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), იტალიიდან 8.4 პროცენტით (-1.3 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), თურქეთიდან 4.7 პროცენტით (-0.2 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში). ამავე დროს, ზრდა დაფიქსირდა გერმანიიდან 28.2 პროცენტით (0.8 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), უკრაინიდან 52.2 პროცენტით (0.4 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), საბერძნეთიდან 1.9 პროცენტით (0.2 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).

დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 8: ტოპ ქვეყნები, ტურიზმი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 9: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


გაცვლითი კურსი

დიაგრამა 10: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

30 აპრილის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 10 პროცენტით არის გაუფასურებული, ხოლო 2018 წლის 1 იანვართან შედარებით კი 2.6 პროცენტით. ამავე დროს, მარტის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 4.3 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 1 პროცენტით გამყარებული 2018 წლის იანვართან შედარებით.

აპრილის ბოლოს მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საშუალოვადიანი ტრენდიდან 8.1 პროცენტით არის გაუფასურებული, თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი არის გაუფასურებული 2.4 პროცენტით საშუალოვადიანი ტრენდთან შედარებით.

მარტის განმავლობაში არსებული გაუფასურება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელებითა და ნავთობის საერთაშორისო ფასის შემცირებით, რამაც აისახა სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკურ აქტივობაზე, ტურიზმიდან მიღებულს შემოსავალსა და ფულად გზავნილებზე. ამავე დროს, გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე ასევე იმოქმედა ზემოთ აღნიშნული მოვლენების გამო ჩამოყალიბებულმა უარყოფითმა მოლოდინებმა.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	30 აპრილი, 2020	30 აპრ 2020 - 1 იან 2019	30 აპრ 2020 - 1 იან 2018
ევრო	3.4748	▼ -19.6%	▼ -24.8%
აშშ დოლარი	3.2032	▼ -17.4%	▼ -25.2%
თურქული ლირა	0.4586	▲ 63.6%	▲ 78.6%
რუსული რუბლი	0.0435	▼ -1.1%	▼ -25.2%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	115.03	▼ -10.0%	▼ -2.6%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მარტი, 2020)	114.46	▼ -4.3%	▼ -1.0%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება


2020 წლის გადასახადების იანვარ-აპრილის საპროგნოზო მაჩვენებელი 3 757.2 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის იანვარ-აპრილის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 0.2 პროცენტით ნაკლებია, რაც 7.4 მლნ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება 2020 წლის აპრილს, გადასახადების აპრილის საპროგნოზო მაჩვენებელი 956.1 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის აპრილის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 24.7 პროცენტით ნაკლებია, და შეადგენს 767 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 310.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (345.0 მლნ ლარი) 90.1%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 46.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39.0 მლნ ლარი) 118.1%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 284.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (425.0 მლნ ლარი) 66.9%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 103.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (95.6 მლნ ლარი) 108.3%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 5.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.5 მლნ ლარი) 90.6%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 26.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33.0 მლნ ლარი) 79.6%-ია.


2020 წლის მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 20.8%-ით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 30.5%-ით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 139.1 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -127 მლნ ლარით.

დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 12: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი

2020 წლის აპრილში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 260 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.801% შეადგინა. გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 150 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.

პორტფელის შემოსავლიანობა შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა 6 თვით, 12 თვით და 2 წლიან სახაზინო ფასიან ქაღალდებზე.

2020 წლის 30 აპრილისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 35.3% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (მარტი 1.95) შედარებით შემცირდა და 1.84 შეადგინა.

დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



კერძო სექტორის დოლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 55.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 26.5 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 41.2 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 86.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია გაუტოლდა 31.3 პროცენტს.


დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 33.2 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 45.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 23 პროცენტს.

მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2020 წლის აპრილის დასაწყისისთვის გაუტოლდა 36.2 პროცენტს. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 31.6 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია - 32.4 პროცენტი.

დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია




სესხების ლარიზაცია უზრუნველყოფის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია დეპოზიტორების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა



დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა 2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 2019 წელთან შედარებით 16 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 23.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 9.8 პროცენტს შეადგენს.

2020 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.5 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმავე პერიოდში 11.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელის ზრდამ 16 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის აპრილისთვის იპოთეკური სესხების წლიური წინა თვესთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.4 პროცენტი შეადგინა. ხოლო სამომხმარებლო სესხების წლიურმა ზრდამ შეადგინა 12.6 პროცენტი.

დეპოზიტების მიმოხილვა


მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2020 წლის აპრილში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა - 8 პროცენტს.

2020 წლის აპრილში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 12 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 6 პროცენტს.




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 18 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 9.0 პროცენტზე დატოვების შესახებ. აღნიშნული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეიტრალებას ისახავდა მიზნად. ხოლო 2020 წლის 29 აპრილს კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 8.5 პროცენტამდე შემცირების შესახებ. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია დროებითი ფაქტორების გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში მაღალ მაჩვენებელზე შენარჩუნდება, შემდეგ ეტაპობრივად შემცირდება და 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ დონემდე დავა. ეროვნული ბანკის თანახმად, შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული რჩება, რაც საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნებას უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი გამკაცრებული პოლიტიკიდან გამოსვლას ეტაპობრივად განახორციელებს და შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შემცირდება ინფლაციის მოლოდინები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2020 წლის 24 ივნისს ჩატარდება.

დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა




საპროცენტო განაკვეთები

დიაგრამა 23: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2020 წლის აპრილისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.6 პროცენტს უტოლდება.

2020 წლის აპრილში იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2.5 პროცენტს. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე გაუტოლდა 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.6 პროცენტს.

2020 წლის მარტში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 19.5 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 25.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.1 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2020 წლის მარტში, 16.5 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 8.3 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის თებერვლის ბოლოს 12.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7.0 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 12.0 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.2 პროცენტს.

სუპერენული რეიტინგები

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა მიიღო გადაწყვეტილება შეემცირებინა საქართველოს სუპერენული რეიტინგი "BB სტაბილურიდან" "BB უარყოფითამდე". აღნიშნული შემცირება დაკავშირებულია COVID-19-ის მიერ გამოწვეული გაურკვევლობით და მომატებული რისკებით. ორგანიზაცია საქართველოს მშპ-ის 4.8%-ით შემცირებას ვარაუდობს. Fitch-ი 2020 წელს ქვეყანაში საბიუჯეტო დეფიციტის 8.6%-მდე გაზრდას მოელის, რაც უკავშირდება შემცირებულ საგადასახადო შემოსავლებს და გაზრდილ საბიუჯეტო დანახარჯებს. Fitch მოელის, რომ 2020 წელს გლობალური ეკონომიკას ელის ღრმა, მაგრამ მოკლევადიანი რეცესია COVID-19 პანდემიის გამო. Fitch-ის თანახმად, მოსალოდნელია, რომ ევროზონის მშპ 2020 წელს შემცირდება 4.2%-ით, ხოლო 2021 წელს მოხდება 2.9%-იანი ზრდა. ამავე დროს, Moody's და S&P-ის თანახმად, საქართველოს გააჩნია Ba2 სტაბილური და BB სტაბილური რეიტინგები შესაბამისად.

დიაგრამა 25: საქართველოს საკრედიტო რეიტინგები

Moody's

Ba2 სტაბილური

დამტკიცებული: 2020 მარტი

FitchRatings

BB უარყოფითი

დამტკიცებული: 2020 აპრილი

**STANDARD
& POOR'S**

BB სტაბილური

დამტკიცებული: 2019 ოქტომბერი

წყარო: სარეიტინგო კომპანიები: Moody's, Fitch და S&P

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკას.

